ისრაელის მუსლიმთა ფონზე აღქმული პალესტინა-ისრაელის კრიზისის მიზეზები

სიმონ გურეშიძე
ისტორიის დოქტორი,
ილიას უნიერსიტეტის გ. წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის
ასისტენტ-მკვლევარი. საქართველო, 0162.
თბილისი, გიორგი წერეთელის ქ. 3.
+995 595-56-61-23. Simon.gureshidze@iliauni.edu.ge
ORCID: ORCID: 0000-0002-9545-8238

აბსტრაქტი

ზოგადად პალესტინელ არაბთა და ისრაელის დაპირისპირების მიზეზებს უამრავი სტატია, მონოგრაფია, დისერტაცია, სამეცნიერო კონფერენცია აქვს მიძღვნილი და საკითხის კვლევა თავის სირთულითა და კომპლექსურობით კვლავაც გაგრძელდება. ჰამასის მიერ განხორციელებულმა შეტევამ კიდევ ერთხელ მიიქცია მსოფლიო საზოგადოების და დარგის სპეციალისტთა ყურადღება. დატრიალებული ტრაგედია მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში პალესტინელთა მხარდაჭერის მოტივით გამართულმა უპრეცედენტო მასშტაბის საპროტესტო აქციებმა მოიცვა. რიგ ქვეყნებში მოხდა საზოგადოების ორად გახლეჩა და დაპირისპირება, სადაც ერთი მხარე ისრაელის მიერ განხორციელებულ სრულიად კანონიერ სამხედრო მოქმედებებს უჭერდა მხარს, მეორე მხარე გარდა უდანაშაულო მსხვერპლის თავიდან აცილების მოთხოვნისა, პალესტინელი არაბების მიმართ განხორციელებულ მუდმივ ჩაგვრაზე აპელირებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის ისტორია საკმაოდ მდიდარია პალესტინელი არაბებისა და ებრაელების მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითებით, არა მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, ხშირად აკადემიურ წრეებშიც ხშირად ვაწყდებით მსჯელობასა და თეორიას პალესტინელი არაბებისა და ებრაელების შეუთავსებლობის შესახებ, რაც თავის მხრივ გამყარებულია დემოგრაფიული, ეკონომიკური და კონფესიური მიზეზების განხილვით. ამ მოსაზრებას ცალსახად ვერ გავიზიარებთ და სტატიის მიზანია ამჯერად შეძლებისდაგვარად პასუხი გასცეს იმ კითხვას, რეალურად არსებობს თუ არა გადაულახავი ანტაგონიზმი ისრაელში მუსლიმურ თემებსა და სახელმწიფოს შორის. სად გადის მთავარი წყალგამყოფი უმრავლესობასა და უმცირესობებს შორის ურთიერთობაში და გარდა უკვე განხილული და შესწავლილი მიზეზებისა, დამატებით რა ფაქტორები უწყობს ხელს ისლამისტური ექსტრემიზმის გაღვივებას და ასევე რა პირობებში ხდება მუსლიმების მშვიდობიანი თანაცხოვრება და ინტეგრაცია ისრაელში.

საკვანძო სიტყვები: ისრაელი; მუსლიმები; ბედუინები; დრუზები; ჩერქეზები; ჰამასი.

შინაარსი

1993 წლის 13 სექტემბერს ოსლოს შეთანხმების დადებიდან, როდესაც ისრაელის პრემიერ მინისტრმა იცხაკ რაბინმა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელმა მაჰმუდ აბასმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია უარს ამბობდა ტერორიზმზე და ცნო ისრაელის მშვიდობიანი არსებობის უფლება. თავის მხრივ ისრაელმაც ცნო აღნიშნული ორგანიზაცია პალესტინელთა წარმომადგენლად და ასევე შეთანხმდნენ, რომ შეიქმნებოდა პალესტინის ადმინისტრაცია, რომლის ფუნქციაც 5 წლის ვადით მმართველობაზე პასუხისგებლობის აღება იქნე-

ბოდა დასავლეთ სანაპიროსა და ღაზაში (1). ასევე 2000-2005 წლებში მეორე ინთიფადას პერიოდში და მას შემდეგ, ისრაელის წინააღმდეგ პალესტინის ისლამური ჯიჰადის, ჰამასისა და ფათჰის ალ-აქსას წამებულთა ბრიგადის მიერ განხორციელებულ თავდასხმებს, დღემდე ათასობით ისრაელის მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. აღნიშნულ მსხვერპლთა სიაში ქვეყნის გარეთ მცხოვრები ებრაული წარმომავლობის პირებიც შედიან (2).

პალესტინელი არაბების უფლებების დაცვის მიზნით ისრაელში გააქტიურებულ ექსტრემისტულ ორგანიზაციებში ბოლო ათწლეულში განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა ჰამასი, რომელიც 2006 წელს პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ და ასევე პარტიებს შორის ძალაუფლების სისხლიანი გადანაწილების შედეგად მიღწეული შეთანხმებით მართავს ღაზას (3).

2023 წლის 7 ოქტომბერს ჰამასის მიერ მოწყობილმა ტერორისტულმა შეტევამ თავისი ხასიათით, მასშტაბურობითა და დაუნდობლობით, მანამდე არნახული დაპირისპირების მორიგი ტალღა წარმოშვა. ისრაელის მხრიდან განხორციელებულ ლეგიტიმურ სამხედრო პასუხს შეეწირა ღაზაში მაცხოვრები ათასობით მშვიდობიანი მოსახლე. აღნიშნულ გამოწვევასთან დაკავშირებით მთელი ცივილიზებული სამყარო თანხმდება, რომ ტერორიზმთან ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ მშვიდობიანი და უდანაშაულო მოსახლეობა მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული. მას შემდეგ რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვეტო დაადო ღაზაში ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციას, იმავე დროს აშშ-ის ელჩმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ლინდა თომას-გრინფლიდმა, შემდეგი მიმართვა გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში: „უდანაშაულო პალესტინელების სიცოცხლე დაცული უნდა იყოს... გაეროს პერსონალი, ჰუმანიტარული მისიების თანამშრომლები და ჟურნალისტები უნდა იყვნენ დაცულები. ჩვენ ვგლოვობთ ამ კრიზისში დაკარგულ ყოველ სიცოცხლეს. ყოველ მათგანს“. გაეროს ყოფილმა

სპეციალურმა რეპორტიორმა მაიკ ლინკმა განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუცია არასავალდებულო ფორმატისაა, მაინც საკმაოდ ზუსტი ბარომეტრია იმისა, თუ რა აზრისაა საერთაშორისო დიპლომატია და საზოგადოება ღაზაში მიმდინარე ომის შესახებ“. ბაიდენის ადმინისტრაცია ისრაელს არ უწესებს წითელ ხაზებს, რითაც ადასტურებს ამ ქვეყნის მიერ წარმოებული საომარი კამპანიის მიმართ სრულ მხარდაჭერას. ამავე დროს ორმა ამერიკელმა ოფიციალურმა პირმა ABC News-ს განუცხადა, რომ აშშ-ის მთავრობა ცდილობდა დაეყოლიებინა ისრაელი, რათა ამ უკანასკნელს უფრო მცირე მასშტაბებით განეხორციელებინა თავის შეტევა და უფრო თანმიმდევრული მიდგომები ჰქონოდა. პარალელურად Washington Post-მაც გამოაქვეყნა, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია მოუწოდებდა ისრაელს სრულ მასშტაბიანი სახმელეთო შეტევის ნაცვლად „ქირურგიული“ ოპერაცია განეხორციელებინა (4).

მეთოდი

აღნიშნულ საკითხზე კიდევ ერთხელ მსჯელობისას და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით დამუშავდა ღია წყაროებში არსებული მასლები და ისტორიკოსის, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ისლამისა და აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ჰილელ კოენის ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ და მოგვიანებით ფართო საზოგადოებისთვის შესწავლისთვის ნებადართულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოცემული წიგნი: „კარგი არაბები: ისრაელის უსაფრთხოების სამსახურები და ისრაელის არაბები“, დამეხმარა გამეშუქებინა თუ რა სახის ურთიერთობები ფორმირდებოდა ისრაელში მცხოვრებ მუსლიმებსა და ებრაულ მოსახლეობას შორის. მასალების ურთიერთშეპირისპირებისა და შედარების საფუძელზე ვეცადე გამომეკვეთა სუნიტი და შიიტი არაბების ასევე არაარაბული წარმომალობის მუსლიმთა ცხოვრების სოცილურ-პოლიტიური ასპექტები. რამდენად იყვნენ ისინი ინტეგრირებული ქვეყნის შიგნით, რა გამოწვევების

დაძლევა უწევდათ ან სახელმწიფოს მხრიდან რა სახის თანადგომას ჰქონდა ადგილი. ამისათვის გამოვიყენეთ კვლევის შემდგომი მეთოდები: კომპარავისტიკა, სიტუაციური ანალიზი, კონტენტ ანალიზი და ინტენტ ანალიზი.

დისკუსია

დასაწყისში პირველ რიგში საჭიროდ მიმაჩნია ყურადღება კიდევ ერთხელ გავამახვილოთ და მოკლედ გადავავლოთ თვალი იმას, თუ რა განსხვავებაა პალესტინელ არაბებსა და ისრაელის მოქალაქე არაბებს შორის. ისრაელის მოქალაქე არაბების აბსოლუტური უმრავლესობა არიან იმ არაბთა შთამომავლები, რომლებიც ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის მომენტში დარჩნენ ამ ქვეყნის საზღვრებში და ავტომატურად გახდნენ ისრაელის მოქალაქეები, რომლებიც დღესდღეობით ქვეყნის მოსახლეობის 21%-ს შეადგენენ. არსებობს ისრაელის მოქალაქე არაბთა კატეგორია, რომელიც თავის თავს პალესტინელს უწოდებს, მაგრამ ისინი არიან ისრაელის სრულუფლებიანი მოქალაქეები, გათანაბრებული ებრაელებთან და დრუზებთან, რომლებზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. ისრაელის არაბები ცხოვრობენ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში და არ გამოირჩევიან ებრაული წარმომავლობის მოქალაქეებისგან. მათთან ურთიერთობა ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს მაღაზიებში, სავაჭრო ცენტრებში და საავადმყოფოებში (ბევრი მედდა და ექთანი ისრაელის მოქალაქე არაბია), მათ ასევე პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ ქნესეთში.

პალესტინელი არაბები ცხოვრობენ პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე, რომელსაც მართავს ფათჰი, ნაწილი კი ღაზას მაცხოვრებელია, რომელსაც ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასი მართავს (5).

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს არაბთა კიდევ ერთი კატეგორია, რომლებმაც 1967 წელს აღმოსავლეთ იერუსალიმის ანექსიის შემდეგ არ დატოვეს თავიანთი საცხოვრებელი და აღწერების მიხედვით ერთდროულად ითვლებიან პალესტინელ და ისრაელის მოქალაქე არაბებად (6). ზოგადად ისრაელის

მოქალაქე და პალესტინელ არაბთა მხრიდან ისრაელის სახელმწიფოს მიმართ ურთიერთობების ისტორია 1948 წლიდან საკმაოდ მრავალწახნაგიანია და ეს ფენომენი გარკვეულ ქვედინებებსაც შეიცავს, რომელსაც ჰილელ კოენი თავისი წიგნის შესავალში აღნიშნავს, რომ პალესტინელ არაბთა ნების საწინააღმდეგოდ ისრაელის სახელმწიფოს აღდგენამ და მეზობელი არაბული სახელმწიფოების ომში დამარცხებამ წარმოქმნა მტრული გარემო და უნდობლობა სახელმწიფოსა და მის არაბ მოქალაქეებს შორის.

სახელმწიფოს ლიდერები მართალია ხშირად გადამეტებულად აღიქვამდნენ არაბი მოსახლეობის მხრიდან წამოსულ საფრთხეებს, მაგრამ მათ მაინც მიიჩნევდნენ პოტენციურ მეხუთე კოლონად და მეამბოხეებად. რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ისრაელის მოქალაქე არაბები რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ ქვეყნისთვის, მაგრამ ამ შეხედულებაში ცალსახად დარწმუნების საფუძველი არსებობდა. იმისათვის, რომ აღეკვეთათ მტრული მოქმედებები და დაემყარებინათ ძლიერი პოლიტიკური კონტროლი არაბულ მოსახლეობაზე, ისრაელის სპეცსამსახურებმა სწრაფად შექმნეს ინფორმატორთა და თანამშრომელთა ქსელი არაბულ საზოგადოებაში, რაც ძალზე ეფექტური ნაბიჯი აღმოჩნდა სამი მიმართულებით: ტაქტიკურ, პოლიტიკურ და ცნობიერება-იდენტობის დონეზე.

წიგნში ასევე განხილულია ის მიზეზები თუ რა იყო არაბი მოქალაქეებისთვის ისრაელის მხარდაჭერის მოტივაცია. პირველ რიგში ეს იყო ინდივიდუალური ოპორტუნიზმი, პალესტინის ეროვნული მოძრაობის სისუსტე, ისრაელის სახელმწიფოს სიძლიერე, მათი აღქმა იმის შესახებ, რომ ისრაელი იყო დასავლური და თანამედროვე ქვეყანა, სახელმწიფოს სისტემის მხრიდან მკაცრი კონტროლი და ზედამხედველობა, ასევე წინააღმდეგობის რისკები თანამშრომლობისგან მიღებულ სარგებელთან შედარებით (7).

დავუბრუნდეთ სტატიის შესავალში დასმულ კითხვებს, რომლებზეც პასუხის გასაცემად ყურადღებას იპყრობენ ისრაე-

ლის სამხრეთით ნეგევში, ცენტრალურ ისრაელსა და ჩრდილოეთით გალილეაში, სირიის უდაბნოდან გადმოსული ბედუინები. ნეგევში მცხოვრები ბედუინების ოთხმოცდაათი პროცენტი გადმოსახლებულია ჰიჯაზიდან და ნეგევში მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა სახლობენ ბეერ შევას, არადის, დიმონას და რაჰათის ქალაქეს შორის. ისინი ისრაელის არმიაში 1948 წლიდან მსახურობენ, ძირითადად დაზვერვისა და თვალთვალის რაზმებში. ბრიტანეთის მანდატის ამოწურვის შემდეგ და ისრაელის სახელმწიფოს აღდგენისთვის დაწყებულ ბრძოლაში ბედუინებმა ისრაელის მხარე დაიკავეს, რომლის მიმდინარეობის დროსაც ახლად შექმნილ ისრაელის თავდაცვის ძალებს ძალზე ფასეულ სადაზვერვო მონაცემებს აწვდიდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ისრაელის ებრაელი მოქალაქეებისგან განსხვავებით ბედუინებისთვის შეიარაღებულ ძალებში სამსახური სავალდებულო არ არის. ისრაელისთვის დაღუპული ბედუინი ჯარისკაცების სახელზე გახსნილი ბაღი არსებობს და მონუმენტი გალილეაში. 2003 წლიდან შეიქმნა ბედუინებით დაკომპლექტებული საძიებო-სამაშველო ჯგუფები. რაც შეეხება მიწის მფლობელობას, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში ბედუინებს არ აქვთ მიწის საკუთრებაზე უფლება. ისრაელში ვისაც არ აქვს მიწა დარეგისტრირებული, მას არ აქვს მის ფლობაზე პრეტენზიის უფლება, მაგრამ 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან ისრაელმა მისცა ბედუინებს საშუალება დაერეგისტრირებინათ თავიანთი მიწები, რის საფუძველზეც მათ გადაეცათ სერტიფიკატები, რაც თავის მხრივ შემდგომ გახდა „ფლობის უფლების“ დოკუმენტი. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ბედუინი ბავშვებისთვის პირველი 12 წლიანი განათლება უფასოა, ერთ თაობაში წერა - კითხვის უცოდინარობა 95%-დან 25%-მდე შემცირდა, 1998 წლიდან სულ უფრო ბევრი ბედუინთა სკოლა დამთავრებული იღებს უმაღლეს განათლებას და ასევე სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს მათთვის ჯანდაცვის სპეციალურ კალათას, აღნიშნული უმცირესობა

მაინც არ არის ინტეგრირებული სახელმწიფოში. 2020 წელს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დანიშნა ერითრეაში პირველი ბედუინი ელჩი იშმაელ ხალდი. ასევე ქვეყანაში მოქმედებს ბედუინთა პირველი მაღალი ტექნოლოგიების კომპანია.

2023 წლის 7 ოქტომბრის თავდასხმას, 22 ოქტომბრის მონაცემებით ოთხი ბედუინი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეოს თანახმად, ისრაელის ადგილობრივი მოსახლეობა მადლიერებას გამოხატავდა ბედუინი სამხედრო მეთაურის, სახელად აშრაფის მიმართ, რომელმაც ეფექტურად დაიცვა ისინი ჰამასის ტერორისტებისგან (8).

დრუზები - აღნიშნული უმცირესობა, ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიებზე ცხოვრობენ. მიუხედავდ იმისა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმია, ისინი უნიკალურ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს წარმოადგენენ. მათი რელიგიური განშტოების ისტორია ისლამის შიიტურ მიმდინარეობაში მე-11 საუკუნიდან იღებს სათავეს და აერთიანებს ისლამის, ინდუიზმისა და ძველი ბერძნული ფილოსოფიის ელემენტებს. აღნიშნული კონფესიური მიმდინარეობის ფესვები ისმაილიზმში, რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძრაობაში ძევს, რომელმაც თავის მხრივ დიდი წვლილი შეიტანა ფატიმიანთა სახალიფოს ფორმირებაში ეგვიპტეში მე-10 საუკუნეში.

დრუზების თემი ისრაელში 1957 წლიდან ოფიციალურადაა აღიარებული როგორც ცალკე ერთეული თავის სასამართლოთი (ისეთი იურიდიული საკითხებით, როგორებიცაა პირადი სტატუსი-ქორწინება, განქორწინება, მოვლა, შვილად აყვანა) და სასულიერო ხელმძღვანელობით. 1962 წლიდან მოხდა მათი სტატუსის ტრანსფორმაცია, რის მიხედვითაც ეს ჯგუფი ოფიციალურ დონეზე იქცა სხვა ნაციონალობის მქონე, არა არაბ მუსლიმ უმცირესობად. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ არაბულ-ებრაულ დიქოტომიაში მთავარმა განმასხვავებელმა იდიომამ აღნიშნული სტატუსი საკმაოდ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ მოაქცია. დრუზების კულტურა და ენა არაბულია. 1948 წელს ისინი იმ

პერიოდისთვის გავრცელებული არაბული ნაციონალიზმის წინააღმდეგ გამოვიდნენ და მას შემდეგ მსახურობენ (თავიდან მოხალისეებად და მოგვიანებით გაწვევის სისტემის მიხედვით) ისრაელის არმიასა და სასაზღვრო პოლიციაში. აღსანიშნავია ის ფაქტებიც, რომ დრუზების ნაწილი 1936-39 წლების არაბთა აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას და 1948-49 წლებში იბრძოდნენ სიონისტთა წინააღმდეგაც.

დაახლოებით 1 მილიონი დრუზი ცხოვრობს სირიასა და ლიბანში, შედარებით ნაკლები ისრაელსა და იორდანიაში. ისრაელში ისინი მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 2%-ს და ქვეყანაში მცხოვრები არაბების 7,4%-ს წარმოადგენენ, ითვლებიან საკმაოდ შეკრულ თემად, აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ძირითადად ცხოვრობენ ჩრდილოეთით გალილეაში, კარმილსა და გოლანის სიმაღლეებზე. რაც შეეხება ამ უკანასკნელთ, ისინი გამონაკლისს წარმოადგენენ და გოლანის სიმაღლეებზე მცხოვრები დრუზების უმრავლესობა თავიანთ თავს სირიელებად თვლიან, ან არ არიან ჩამოყალიბებულები თავიანთ იდენტობაში, მაგრამ ისრაელის მოქალაქეებად არ მიიჩნევენ საკუთარ თავს და ასევე მათი აზრით გოლანის სიმაღლეები სირიას ეკუთვნის.

დრუზი ოფიცრები მაღალ თანამდებობებს იკავებენ ისრაელის უსაფრთხოების ძალებში, განსაკუთრებით ცახალში. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვინაიდან დრუზებს ხშირად უწევთ თავიანთი სამხედრო სამსახურის მოხდა ისეთ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებსა და სხვა წერტილებში, სადაც პალესტინელ არაბებთან დაპირისპირება გარდაუვალია. ამიტომ ამის გამო მათ მიმართ მტრული დამოკიდებულება აქვთ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში მცხოვრებ პალესტინელებს. დრუზების წარმომადგენელი პოლიტიკური პირები ტრადიციულად აქტიურობით გამოირჩევიან სიონისტური პარტიების სიებში, როგორებიცაა: მემარცხენე „ჰა'ვოდა“ და მემარჯვენე „ლიკუდი“. „ლიკუდი“ ზოგადად პოპულარულია

დრუზებს შორის. ბოლო წლებში დრუზებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს შედარებით ახლად შექმნილ სიონისტურ ცენტრისტულ პარტიებთან: „კადიმასთან“ და „ისრაელ ბეითენუსთან“. ამასთან მათი ელექტორატის ერთი მეხუთედი დაკავშირებულია არაბულ ან ებრაულ-არაბულ პარტიებთან, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიულ ალიანს „ბალადთან“; რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ეროვნულ-სეკულარულ მიმდინარეობას არაბულ პოლიტიკაში ისრაელში და მხარს უჭერს ანტისიონისტურ პროგრამებს.

დრუზების შესახებ 5 ძირითადი ფაქტია ცნობილი:

1) ათიდან ცხრა ისრაელის მოქალაქე დრუზი აცხადებს, რომ მათ აქვთ საკუთარი თემის მიმართ მყარი მიკუთვნებულობის გრძნობა.

2) დრუზების 1%-ზე ნაკლებს ჰყავს მეუღლე ან აქვს პარტნიორული ურთიერთობა სხვა ეთნო-კონფესიური წარმომავლობის პირთან.

3) ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ ფილოსოფიასა და სულიერ სიწმინდეს.

4) მათი 45% ნამსახურებია შეიარაღებულ ძალებში და 2016 წლის მონაცემებით 15% იმ მომენტშიც მსახურობდა.

5) ისრაელში მცხოვრები მუსლიმების 51%-ის, ქრისტიანების 45%-ის და ებრაელების 43%-ის მსგავსად დრუზების 42% იზიარებს ისრაელში ორი სახელმწიფოს (ისარელის განსაკუთრებული სტატუსით და პალესტინის) არსებობის პრინციპებს (9).

ჩერქეზები - არა არაბი მუსლიმები ისრაელში. ჩერქეზთა ორი სოფლიდან ერთ-ერთი „ქფარ კამა“, ისრაელის სახელმწიფოში არსებული ბოლო 150 წლის მანძილზე არაბულ ენაზე მოსაუბრე უმცირესობის კიდევ ერთი ლოკაციაა, რომელიც ქვემო გალილეაში თაბორის მთასა და გალილეის ზღვას შორის მიმავალ გზის გაყოლებაზე მდებარეობს. 2022 წელს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ საერთაშორისო ტურისტულ

დაბად აღიარა და გამოარჩია 18 ქვეყნის 32 დაბიდან, რომელთა შორისაც იყვნენ მაროკო, იტალია, იორდანია, მექსიკა, პერუ და საუდის არაბეთი. აღნიშნულ ტერიტორიაზე მაცხოვრები ჩერქეზები, საფედის ჩრდილოეთით მდებარე რიჰანიას დაბასთან ერთად იმ ჩერქეზთა შთამომავლები არიან რომლებიც კავკასიიდან 1870-იანი წლების ბოლოსთვის ოსმალეთის იმპერიამ ჩაასახლა გალილეაში რუსეთ-ჩერქეზეთის 100 წლიანი ომის შედეგად დაწყებული ჩერქეზთა დევნისა და მასობრივი მკვლელობების შემდეგ. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედვად იმისა, რომ ჩერქეზების ნაწილი 1992-93 წლებში აფხაზეთის ომში აფხაზი სეპარატისტების მხარეს იბრძოდნენ, 2011 წელს საქართველო პირველი ქვეყანა გახდა რომელმაც ჩერქეზთა გენოციდი აღიარა (10).

მათი უმრავლესობა მუსლიმია და ამ საკმაოდ შეკრული თემის წარმომადგენელი მამაკაცების დიდი ნაწილი დრუზების მსგავსად მსახურობენ ისრაელის არმიაში. 1950-იან წლებამდე მათთვის სამხედრო სამსახური არ იყო სავალდებულო. სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც ორივე დაბის უხუცესებმა ხელისუფლებას მიმართეს, რათა მათაც ჰქონოდათ შეიარაღებულ ძალებში სამსახურის უფლება, სწორედ ამ პერიოდიდან გახდა სამხედრო გაწვევა ჩერქეზთათვის სავალდებულო. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული თემის წარმომამდგენლები საკმაოდ მაღალ პოზიციებს იკავებენ ისრაელის პოლიციაშიც. თუმცა თემი მთლიანობაში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს პალესტინელი არაბებისა და ისრაელის სახელმწიფოს კონფლიქტებში.

ისრაელის ტურიზმის სამინისტრო მრავალი წლის განმავლობაში ეხმარებოდა აღნიშნულ დასახლებას რეკონსტრუქციების სერიით, რითაც მოხერხდა მემკვიდრეობის შენარჩუნება და ტურისტების მოზიდვა. დაბაში ასევე არსებობს ჩერქეზული კულტურის მუზეუმიც. ისრაელი არის ერთადერთი ადგილი სადაც ქუჩებს ჩერქეზული სახელები აქვთ, აღნიშნა „ქაფრ-კამას“

ჩერქეზული მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორმა აიბეკ ნაპ-სომ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ 1976 წლიდან არაბული სექტორისგან დამოუკიდებელმა განათლების სისტემამ უზრუნველყო ახალგაზრდა თაობისთვის საკუთარი კულტურის გადაცემა. ჩერქეზეთის ისტორიასა და ტრადიციებთან ერთად სკოლის მოსწავლეები სწავლობენ ჩერქეზულ ადიღეურ ენას, ივრითს, არაბულს და ინგლისურს. ჩერქეზი ახალგაზრდები მუნიციპალური საბჭოს საშუალო სკოლებში ებრაელ თანატოლებთან ერთად სწავლობენ.

ჩერქეზები ერიდებიან შერეულ ქორწინებებს კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ მაინც ფიქსირდება რამდენიმე ათეული ჩერქეზულ-რუსული, უკრაინული და ისრაელის ებრაელთა შერეული ოჯახები. უფრო ცოტაა ჩერქეზულ-არაბული ოჯახების რიცხვი (11).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმურ თემებს ისრაელში იქნებიან არაბები თუ არა არაბები, მიუხედავად ცალკეული გამოწვევებისა, ადგილობრივ ებრაულ მოსახლეობასთან და ხელისუფლებასთან თანაარსებობის პრობლემა არ აქვთ. პალესტინელი არაბებისგან მათ გამოარჩევს ის, რომ მათ არ აქვთ ტერიტორიული პრეტენზიები ისრაელის სახელმწიფოსგან და რაც მთავარია არცერთი მათგანი არ იმართება პოლიტიკურ-რელიგიური ორგანიზაციების მიერ. ასევე არ ჰყავთ პოლიტიკურად მოტივირებული მოკავშირეები ქვეყნის გარედან. მართალია პალესტინის სახელმწიფოებრიობის საკითხის გადაწყვეტა არა მარტო პალესტინელი არაბების და ისრაელის სახელმწიფოს, არამედ მსოფლიო საზოგადოების დღის წესრიგშიც არაერთხელ დამდგარა და აღნიშნული პრობლემა მომავალში ალბათ რაიმე გზით გადაიჭრება, მაგრამ თუ გავითვალისწინეთ იმას, რომ ღაზას მაცხოვრებლებშიც საკმაოდ მრავლად არიან ისეთი კატეგორია რომლებიც სამსახურსა და საარსებო საშუალებას ისრაელის ტერიტორიაზე ეძებენ და ხშირად პოულობენ, მაშინ

შეიძლება ითქვას, რომ პალესტინის და ღაზას მაცხოვრებელთა პრობლემების დაძლევა მეტ-ნალებად მშვიდობიანი გზით იქნება შესაძლებელი თუ ამ ორ ანკლავს საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისთვის არ გამოიყენებენ ესა თუ ის ექსტ-რემისტულად განწყობილი და ქვეყნის გარედან დაფინანსებული დაჯგუფებები. კონკრეტულად ისეთები: როგორიც თავის დრო-ზე იყო ფათჰი და დღესდღეობით არის ჰამასი.

გამოყენებული მასალები და ლიტერატურა:

1. The Oslo Accords and the Arab-Israeli Peace Process. Office of the Historian, MILESTONES: 1993–2000. https://history.state.gov/milestones/1993-2000/oslo.
2. Comprehensive Listing of Terrorism Victims in Israel (September 1993 - Present). Jewish virtual Library a project of AICE. https://www.jewishvirtuallibrary.org/comprehensive-listing-of-terrorism-victims-in-israel Major Palestinian Terror Attacks Since Oslo. Jewish virtual Library a project of AICE. https://www.jewi shvirtuallibrary.org/major-palestinian-terror-attacks-since-oslo [1] Palest inian Politics Timeline: Since the 2006 Election. United States Institute of Peace. Tuesday, June 25, 2019 / BY: Robert Barron. https:// www. usip.org/palestinian-politics-timeline-2006-election Hamas celebrates election victory. Simon Jeffery and agencies. Thu 26 Jan 2006 19.40 CET. https://www.theguardian.com/world/2006/jan/26/israel1.
3. Palestinian Politics Timeline: Since the 2006 Election. United States Institute of Peace. Tuesday, June 25, 2019 / BY: Robert Barron. https://www.usip.org/palestinian-politics-timeline-2006-elect ion Hamas celebrates election victory. Simon Jeffery and agen cies. Thu 26 Jan 2006 19.40 CET. https:// www. theguardian. com/world/2006/jan/26/israel1.

4. Israel-Hamas war: List of key events, day 22. Here is the situation on Saturday, October 28, 2023. https://www.aljazeera. Com /news/2023/10/28/israel-hamas-war-list-of-key-events-day-22.
5. Contrasting Palestinian Arabs and Israeli Arabs. APR 11, 2019, 9:28 PM. https://blogs.timesofisrael.com/contrasting-palestinian-arabs- and-israeli-arabs/.
6. What to Know About the Arab Citizens of Israel. Kali Robinson, Last updated March 9, 2023 12:00 pm. https://www.cfr.o rg/backgrounder/what-know-about-arab-citizensisrael#:~:text=Source %3A%20Israeli%20Central%20Bureau%20of,live %20in%20the %20Palestinian%20territories.
7. Cohen Hillel. Good Arabs: The Israeli Security Agencies and the Israeli Arabs, 1948-1967 Translated by Haim Watzman. University of California Press. Berkeley and Los Angeles, California. London, England. 2010 by the Regents of the University of California. P:2.
8. Minority Communities in Israel: The Bedouin, by Dr. Yosef Ben-David. Jewish virtual Library a project of AICE. https:// www. jewishvirtuallibrary.org/the-bedouin-in-israel Who are the Bedouin Arabs in the Israeli army? Written by Manraj Grewal Sharma, updated: October 22, 2023 12:54 IST. https://indian express.com/article/explained/explained-global/bedouin-arabs-israeli-army-8993875/?fbclid=IwAR0ld_pQk5tcZoT7Evlq36YFq ntRGAg1nsr0nYX11kVTkA31k8ju2GoBUO4srael'sHidden Victi ms, Arab Bedouins, Were Attacked by Hamas Too. By Adam Goldman and Gal Koplewitz Reporting from Rahat, Israel, Oct. 29, 2023. https://www.nytimes.Com/2023 /10/29/world/midd leeast/ israel-hamas-arab-bedouins.html
9. 5 facts about Israeli Druze, a unique religious and ethnic group. By Angelina E. Theodorou. March 21, 2016. https://www.Pewre search.org/short-reads/2016/03/21/5-facts-about-israeli-druze-a-unique-religious-and-ethnicgroup/?fbclid=IwAR0r8LqF2qWR8

fJm9fvmpk9tBGIGG4ZCDwMAP_R4DsFv y-XdJb5CCUDdqFI. The Druze in Israel: History & Overview, by Dr. Naim Aridi. Jewish virtual Library a project of AICE. https://www.jewish virtuallibrary.org/history-and-overview-of-the-israelidruze?Fbc lid=IwAR0Euwu233OmrysPRfXLnLaQlNGrdzpZlzZ0vFSahQO 9Y4Q6qCB01Em22uM The Druze Community in Israel. Reformjudaism.org.https://reformjudaism.org/druze-communi ty-israel?fbclid=IwAR0kFxNmvhlrZIU7R6NuSUdp4g9N-bL2pK sQRsYcd2yzcDQcfuuz SRnqcMw Who are Israel's Druze community? Charlie Hoyle, 18 July, 2017. https://www.New arab.com/analysis/who-are-israels-druze-community?fbclid =IwAR1isv8UB5vA3RPEkaZm1jdqb0HeM5I2Sm hKMXanEl ZEund5N4CYplAmcsU ld Loyalties, New Opportunities: The Battle for Identity among the Golani Druze. Wilsoncenter.org/ By Ryan Zaitoun on December 22, 2021. https://www.Wilson center.org/article/old-loyalties-new-opportunities-battle-identit y-among-golanidruze?fbclid=IwAR0aVUyiFu2B53bueNKX TirwiAOskYYX6gr6R wpqnuk3agFd9yoR3t2S_I Israel's Interv entions Among the Druze Making Identity Policy. Lisa Hajjar In: 200 (Fall 1996). / merip.org https://merip.org/1996/09/israels-interventions-among-the-druze/?fbclid=IwAR2cwq5ruE_-nhmJwg0dHiozIW_PRX9Mr7Xv4_P93ibfMyXl8vZgP484yUg.

10. საქართველოს პარლამენტმა აღიარა ჩერქეზთა გენოციდი აღირა. ნინო თარხნიშვილი, მაისი 20, 201. https:// www.ra diotavisupleba.ge/a/24181508.html.
11. Circassian town in northern Israel wins UN recognition as global 'tourist village'. By Danielle Nagler, 20 December 2022, 11:25 pmUpdated: 21 December 2022, 6:06 pm. https://www.Timeso fisrael.com/circassian-town-in-northern-israel-wins-un-reco gnition-as-global-tourist-village/?fbclid=IwAR3twyV_sziclWJ0 vB3CFc1QxYPm60ewqqdozI4y6OIy8B 4uGD4nvDjpXEM Who are the Circassians of northern Israel?. By Judith Sudilovsky,

February 11, 2023 13:54 Updated: FEBRUARY 12, 2023 15:39. https://www.jpost.com/israel-news/article-731089?Fbclid=IwAR3qejgNgpPrqwINl6BPP_wkoYYh7sZY5k9uwJzQR7vmoZRed8W vIcsgspE ჩერქეზები ისრაელისა და ცაჰალის სამსახ-ურში. მურატ გუკემუხოვი, მაირბეკ ვაჩაგაევი, ჯიმშერ რეხვიაშვილი. ნოემბერი 01, 2023.https://www.radiotavi supleba. ge